# სახალხო განათლება+

„ქვეყანად არცერთი ბრძენი არ იყო,
მასწავლებელი არა ჰყოლოდა“.
იოსებ ნონეშვილი

● № 6 (4545) ● 22 მარტი ● 2017 წელი ● ● ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი ●

# საქართველოს მზეო, სულ იჩახჩახეო!

### თბილისის 108-ე საჯარო სკოლა — მრავალმხრივი, შემოქმედებითი

## აქ მოვალეობის სრული შეგრძნებით იღვწიან



**ასეც** ხდება: რაიმე ფაქტი, მოვლენები, თავიდან, შეიძლება, უარყოფითად აღვიქვათ, მაგრამ, თუ ჩავუღრმავდებით, აღმოჩნდება, რომ ეს „უარყოფითი“ პასუხისმგებლობის გაძლიერებული გრძნობის, მოვალეობის სრულად შეგრძნების შედეგი ყოფილა.

დავაკონკრეტოთ: თბილისის 108-ე საჯარო სკოლას შარშან მედალოსანი არა ჰყოლია.

მაშ, სკოლა სათანადოდ ვერ უძღვება მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის პროცესს, თუ ეს სწორედ ზემოთქმული პასუხისმგებლობის გაძლიერებული გრძნობისა და მოვალეობის სრულად შეგრძნების შედეგია (ცხადია, არაფერს ვერჩით იმ სკოლებს, ვისაც მედალოსნები ჰყავდათ)?!

ვნახოთ.

სკოლამ აგრარული უნივერსიტეტიდან მიიღო მადლობის სიგელი წარჩინებული აბიტურიენტის – **თენგო ფიჩხულაშვილის** აღზრდისათვის. მან 100%-იანი გრანტი მოიპოვა, მაგრამ მედალოსანი არა ყოფილა.

სამოქალაქო განათლების კონკურსში გაიმარჯვა **მარიამ ალადაშვილმა**. სხვადასხვა ოლიმპიადასა და კონკურსში სკოლა მუდამ წარმატებებს აღწევს.

ეს ყოველივე კი სათავიდან – დაწყებითი კლასებიდან მოდის (დაწყებითი კლასები **თამარ გალეგაშვილს** აბარია). ყველაფერს ხომ იქ ეყრება მტკიცე საძირკველი. 108-ე სკოლაში რომ ამ მხრივ ყველაფერი კარგადაა, ამის დასტური საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის გამგეობის საპატიო სიგელი და იაკობ გოგებაშვილის საიუბილეო მედალიცაა. ასეთი დიდი ჯილდო ამ სკოლის პატარებმა უდიდესი ქართველი



პედაგოგის დაბადების – 176-ე და „დედა ენის“ შექმნის 140-ე წლისთავისადმი მიძღვნილ კონკურსში – **„მოვეფეროთ იაკობსა და „დედა ენას“** – გამარჯვებით მოიპოვეს. ცოდნა – ცოდნად და გოგო-ბიჭებმა წიგნებად აკინძული „დედა ენის“ მიხედვით თავისი ნახატებით დამშვენებული ნამუშევრები წარადგინეს.

დაწყებითი კლასების მასწავლებლები: **იზოლდა ბარამია, ხათუნა გორაშვილი, თამუნა ვალიშვილი, მაია თაბუაშვილი, მერი მესხიშვილი, ლელა მირზაშვილი, თინათინ წიკლაური, მადონა წულუკიძე** (სერთიფიცირებულნი), **ნანა ცხვედიანი, ეკატერინე ბითაძე, თამარ ჭითავა, ნინო ნათიძე, ირმა ათაბეგაშვილი, სოფიკო ბაქუზანაშვილი, ზანდა მაგრაქველიძე, ნინო უბირია, მარინე ყუშიტაშვილი, ნელი ჩხიკვაძე, მანანა დამენია, ხათუნა ქოჩორაშვილი, თამარ გალეგაშვილის** ხელმძღვანელობით, ისე წარმართავენ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს, რომ ყმაწვილებმა ხალისით ისწავლონ, შეიყვარონ სწავლა და გარჯა.

დაწყებითი კლასების პედაგოგთაგან ესტაფეტას მომდევნო კლასების მასწავლებლები: **ეკა ახალაია, ხათუნა ბეგიაშვილი, ლალი გამეზარდაშვილი, მზია გიგაური, ნანა ზაზანაშვილი, ნანა ლაცეზბაია, ირინე მარკოზაშვილი, ხათუნა ფიცხელაური, ნანა ქირია, თეა ქრისტესიაშვილი, ლია ჭეფხოძე** (სერთიფიცირებულნი), **ინგული ამირანაშვილი, ნინო არობელიძე, მარიამ ბლიაძე, შალვა გაფრინდაშვილი, თეა დოლიძე, ლაურა ესაძე, ასმათ ვასაძე, ნანა ვეშაპიძე, მანანა ზივზივაძე, მაია თურმანიძე, თამარ ლობჟანიძე, თეა მაისაია, ნუგზარ მაღრაძე, სალომე რაზმაძე, ევგენია საიდოიანი, ლარისა სარქისიანი, ლალი სურმავა, ქეთევან ტურიაშვილი, ნინო ქევხიშვილი, გია ქისიშვილი, ინესა ქორაჩიანი, მაია ღლონტი, მაკა შულღიაშვილი, მარინა ჭიკაძე, თეა ხმალაძე, ფიქრია ჯაბანიშვილი, ნინო ჯანიაშვილი** იღებენ.

უკვე გამოიკვეთა, რომ 108-ე სკოლაში კარგად ესმით პასუხისმგებლობაც და მოვალეობაც. წლეულს მედლების 4 კანდიდატი ჰყავთ. სწორედ ისეთები, პედკოლექტივის პასუხისმგებლობასა და მოვალეობის შეგრძნებას რომ შეესატყვისებიან.

გამართულად მუშაობს საგნობრივი კათედრები: ქართული ენისა და ლიტერატურის (ხელმძღვანელი – **მაია ღლონტი**), მათემატიკის (**ლალი გამეზარდაშვილი**), საზოგადოებრივ მეცნიერებათა (**ნანა**

გაგრძელება მე-2 გვ.



### ხალისიანი განწყობისათვის

### გიორგი ლეონიძე



## გაზაფხული

რომელი მერანზე მოფრინდი,
რომელი მქროლავი რაშითა?
„ლილეოს“ ქუხილით ხმებში,
ნიაღვარების ჭყუშითა!
ვინა თქვა, სინაზით მოხვალო,
ენძელებით და იითა?
სადაც მწვანე ფრთას დაიქნევ,
ვაჟკაცურ ძგერას მიიგნა!
სალამი ასჯერ სალამი!
შენ გაზაფხულის ღვრიალო!
ყინულის დალეწავ, ხმაჭექილად
წყაროთ რომ დაიჩხრიალებს...
მე გულს დავლეწავ, ნაკვესარ
ლექსმა რომ დაიძგრიალოს!
შორიდან გეხმარები:
მოდი, სულო ერთად ვიაროთ.



მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

## პირველი გვერდიდან

**ზაზანაშვილი**), ესთეტიკისა და სპორტის (**ნანა ვეშაპიძე**), ბუნებისმეტყველების (**ნანა ლაცუზბაია**).



განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციას – დღევანდელი მოწაფე ხომ ხვალინდელ სპეციალისტად უნდა ჩამოყალიბდეს ამა თუ იმ დარგში. სპეციალობის სწორად არჩევა მთელ მის მომავალს განსაზღვრავს.

შემუშავებულია სპეციალური კითხვარი პედაგოგთა, მშობელთა და მოსწავლეთათვის. ამ სამი რგოლის შეხედულებების შედარება-შეჯერების საფუძველზე ურჩევენ მოსწავლეს, რომელი სპეციალობა აირჩიოს. ცხადია, ეს რთული, დროში გაჭიმული პროცესია, რათა მოზარდი სწორად დაკვალიანდეს.

სკოლაში 19 მოსწავლე ჰყავთ, ვისთანაც სპეციალური საგანმანათლებლო მუშაობაა საჭირო. სპეციალური პედაგოგები **სოფიკო ცირგალია** და **ანა გაფრინდაშვილი** სწორედ ამ საჭიროების შესაბამისად წარმართავენ მათთან მუშაობას.

მოქმედებს ქართული ხალხური ცეკვის (ხელმძღვანელი – **ჯემალ ესიავა**), გამოყენებითი ხელოვნების (**მზია გიგაური**), მუსიკის (**მაკა შულღიაშვილი**) წრეები. ეს დიდად უწყობს ხელს ყმაწვილებში ხელოვნების სიყვარულის ზრდას.

მოსწავლეთა თვითმმართველობა, თავმჯდომარე – **შალვა სესიტაშვილი**, აქტივი: **უჩა დავითიანი**, **ქეთი ალადოშვილი**, **მარიამ ხვადაგიანი**, **ქეთი მეშველიანი**, **ანასტასია ამირხანიანი**, **მიხეილ გასპარიანი**, **ნათია სიბაშვილი**, **სვეტლანა სარქისიანი**, **თინათინ სიბაშვილი**, **თინათინ გოკინაშვილი**, **ანა იაკობიშვილი**, **ანა ალადაშვილი**, **ნიკა ტაბატაძე** – ცდილობენ და აღწევენ კიდეც იმას, რომ თანატოლთა სასკოლო ცხოვრება ხალისიანიც და სასარგებლოც იყოს. სასარგებლო, უპირველესად, მათთვისვე, რადგან ის დახმარება, რასაც ისინი უწევენ მოხუცთა თავშესაფრებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე თანატოლებს, ღარიბი ოჯახების თანასკოლელებს, მათვე უფაქიზებს სულს. **„სამოქალაქო კლუბში“** საინტერესო შეხვედრები, დისპუტები იმართება ახალგაზრდებისათვის მრავალ აქტუალურ საკითხზე. მალე ინგლისელ მწერალ **რუთ დევისსაც** შეხვდებიან, დახვეწენ ინგლისური ენის ცოდნას, უფრო შეიყვარებენ წიგნს.

108-ე სკოლა 2011 წლამდე რუსულენოვანი იყო. ბიბლიოთეკაში წამლადაც ვერ ნახავდით ქართულენოვან წიგნებს. მოსწავლეებმა **„მწვანე ყუთი“** დადგეს. მასში მაკულატურა გროვდება, რაც **„ნერგი ბარათებზე“** იცვლება, ბარათები კი – ქართულ წიგნებზე. შემორჩენილ რუსულენოვან მოსწავლეებს გაძლიერებულად შეასწავლიან ქართულს.

ეწყობა მიზნობრივი ექსკურსიები კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, მუზეუმების, ქალაქის ისტორიული უბნების დასათვალიერებლად, რაც აღსაზრდელებს სამშობლოს სიყვარულს უძლიერებს.

დირექტორის მოადგილე **ნინო არობელიძე** პედაგოგებთან მუშაობას თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე წარმართავს. სკოლას სათავეში კი შემოქმედი პედაგოგი **მაია მღვდელაძე** უდგას.



ქალბატონმა მაიამ სულხან-საბას სახელობის პედაგოგიკის ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე თბილისის 152-ე სკოლაში დაიწყო მუშაობა პიონერხელმძღვანელად. მერე 88-ე სკოლის დირექტორის მოადგილე იყო, ჯერ – აღმზრდელობით, შემდეგ – სასწავლო დარგებში, ბოლოს კი იმავე სკოლის დირექტორად დანიშნეს. 2014 წლიდან 108-ე სკოლის დირექტორია. ერთი სიტყვით, ქალბატონი მაია სკოლის გამობრძმედილი ხელმძღვანელია.




გამოცდილმა სერთიფიცირებულმა სპეციალისტმა ისეააწყო მუშაობა, რომ მთელი პედკოლექტივი მაღალ შედეგებს აღწევს ხარისხიანად სწავლების საქმეში.

108-ე საჯარო სკოლა წელს იუბილარია – 50 წელი შეუსრულდა. ძალზე შთამბეჭდავ საღამოზე ურთიერთს შეხვდნენ ამ სკოლის ღვაწლმოსილი – ძველი და ამჟამინდელი მასწავლებლები, სასახელო კურსდამთავრებულები და მოსწავლეები.

დაუღალავ, შემოქმედებით შრომაში გაილევა ათწლეულები და მოვა დრო, როცა 108-ე სკოლის იმჟამინდელი მასწავლებლები და მოსწავლეები მოიწვევენ ახლანდელ პედაგოგებსა და მოწაფეებს, ვის დასაფრთიანებლად, ცხოვრების გზაზე მაქსიმალურად მომზადებულად გასასვლელადაც დღეს ასე თავდაუზოგავად იღვწიან 108-ე საჯარო სკოლის პედაგოგები.

გისურვებთ ახალ გამარჯვებებს, 108-ე საჯარო სკოლელებო!

**კოტე გურგენიძე**

---

„არდავიწყება მოყვრისა“

# ენრიკო კვალინიძის მოსაგონარი



**ჩუღურეთის** რაიონის პენსიონერთა კავშირს გამოაკლდა გამგეობის წევრი, მწერალი **ენრიკო კვალინიძე**. იგი შარშან გარდაიცვალა. სამაჩაბლოდან დევნილს „ოქრო კაცს“ ეძახდნენ. ცხინვალის დაკარგვის შემდეგ მუშაობდა თბილისში იჯარით აღებულ წისქვილში და ხალხს ემსახურებოდა.

**ენრიკო კვალინიძე** დაიბადა 1938 წელს ცხინვალში. დაამთავრა ცხინვალის 1-ლი საშუალო სკოლა, ხოლო შემდეგ – საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. აქტიურად მოღვაწეობდა სპეციალობის მიხედვით. იყო ზნაურის რაიონის აგრომრეწვის თავმჯდომარე, ჰყავდა 4 შვილი და ერთი შვილიშვილი.

ცხინვალიდან დევნილი სულმოუთქმელად ელოდებოდა მშობლიურ მიწაზე დაბრუნებას. სამშობლოს სიყვარულმა შეაქმნევინა წიგნები: **„პაიკები ანუ გული ჰქონია“**, **„წერილი ლიახვს“**, სადაც აღწერილია საკუთარ მიწა-წყალზე დაბრუნების მოლოდინით აღსავსე ფიქრები.

„დე, მომეკვეთოს მე ორივე ხელი, თუ დაგივიწყო შენ, ჩვენო ლიახვო!“ – წერს იგი წიგნის შესავალში. სიკვდილამდე ერთგული დარჩა თავისი მიწისა და მშობლიური მდინარის; იქ განისვენებენ მშობლები და ახლობლები. და მასაც სიკვდილის შემდეგ ძლივს ეღირსა მდინარე ლიახვის მახლობლად დაკრძალვა და მოსვენება.

**„წერილი ლიახვს“** მისი მეორე წიგნია. ცხინვალში ეთნოკრიზისის დროს იძულებული გახდა თბილისში გადმოსულიყო. წამოვიყვანე ორი შვილი და წამოვედიო. მეუღლე ოსი იყო. მან იქ არჩია დარჩენა. იგი ხან სასტუმროში, ხან ტურბაზებში იყო დაბინავებული. დამწუხრებული, საკუთარ თავს **„მწუხარე სახის რაინდს“** ეძახდა.

„იქ მისი სახლია, ხოლო ლიახვი, რომლის ნაპირებზეც გაიზარდა, გარჯა, სამშობლოს სიყვარული ისწავლა, კვლავ ოცნებებსა და მოგონებებშია დარჩენილი. ამ გრძნობამ ისევ აალებინა ხელში კალამი, წერილი მიეწერა მდინარისათვის, რომელიც მხოლოდ მდინარე არ არის ცხინვალელი, ქართველი კაცისათვის. მან იცის, რომ მდინარეც ისევე იტანჯება ამ ადამიანების გარეშე, როგორც ისინი, სადღაც რომ გამოკეტილან დაბრუნების მოლოდინით აღსავსენი“, – წერს წიგნის რედაქტორი, პოეტი **იულონ ტოლიაშვილი**.

როცა მისი ცხედრით „სასახლე“ მანქანაში შეაცურეს, შვილმა ორი საათის შემდეგ თქვა: „ის უკვე სახლშია“, იმდენად ახლოსაა თბილისი ცხინვალთან, მაგრამ ამჟამად ოკუპირებულია. მაინც საზღვარზე დახვდებიან ცხედარს ოსები, ქართველები და მიცვალებულს შინ მიიყვანენ.

სიკვდილის შემდეგ იგი ჩაატარეს მშობლიურ მდინარე ლიახვთან და დაკრძალეს თავის უახლოეს ადამიანთა შორის.

**ენრიკო კვალინიძის** წიგნი **„წერილი ლიახვს“** დაწერილია გულწრფელი სიყვარულით მშობლიური მიწისადმი, მდინარისადმი, სადაც გაიზარდა და დაჭაბუკდა. მოთხრობაში **„ლევანა“** აღწერილია ცხინვალელთა ცხოვრება. ახალგაზრდობის მისწრაფებანი და ჰუმანური ურთიერთობანი, ის დრო, როცა ქართველები და ოსები სიამტკბილობით ერთად ცხოვრობდნენ.

პიესა **„პაიკები“** უკვე იმ დროს ასახავს, როცა ეთნოკრიზისი, კონფლიქტი იწყება და მკვლელობები გახშირდა. როცა რუსებმა დაიწყეს შემოსვლა. მოთხრობის გმირი, ოსი ინალი სიკეთით სავსეა, ის ამბობს: ვახსენოთ ჩვენი წინაპრების სალოცავები, მშვიდობა ვუსურვოთ ოჯახსაც და ქვეყანასაც...

„ორივე მხარემ უნდა ვაღიაროთ, სერიოზული შეცდომებია დაშვებული. სამწუხაროდ, დღესაც გრძელდება... ავტორი მშვიდობასა და ერთიანობას ქადაგებს“.

**ენრიკო კვალინიძე** ეწეოდა ჟურნალისტურ მოღვაწეობასაც. იბეჭდებოდა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“.

არჩეული იყო **„შერეულ ოჯახთა კავშირის – „კავკასიონის“** ხელმძღვანელად.

„ლიტერატურულ საქართველოში“ (5.II.2016) გამოაქვეყნა სტატია – წერილი საქართველოს პრემიერ მინისტრს – გიორგი კვირიკაშვილს, სადაც მიუთითებდა, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად საჭიროა ოსური მხარის დაინტერესება, კერძოდ, ოსურ მხარეს აინტერესებს მინერალური წყლის **„ბაღიათას“** რეალიზაცია. დიალოგის დასაწყებად ეს საჭიროა. კონფლიქტის ზონაში არის მიწისქვეშა მდინარე. ამ მდინარემ უნდა შეავსოს საქართველო-ირანის ჯერჯერობით არარსებული წყალსადენი. მიწისქვეშა მდინარე დაახლოებით 140 კმ არის დაშორებული თბილისიდან და 2-3 კილომეტრით მავთულხლართებიდან.

სტატიაში მითითებულია დევნილთა დაბრუნების კონკრეტული გზები. წერილი დემოგრაფიულ პრობლემებსაც ეხება.

პატრიოტი მწერალი **ენრიკო კვალინიძე** დაუვიწყარი იქნება მისი ქართველი და ოსი მეგობრების ხსოვნაში.

**ნაირა ნიჟარაძე**

თბილისის 129-ე საჯარო სკოლა სიახლეებს მხარს უბამს

# წარმატებულთა მიღწევები ყველას გვახარებს



ადმინისტრაცია



მათემატიკის

**ამ** სახელოვან სკოლაში ბევრჯერ ვყოფილვართ და მისი წინსვლის – გამარჯვებების მოწმე გახლავართ. თბილისის 129-ე საჯარო სკოლა, რომელიც გლდანი ნაძალადევის რაიონში, სამღერეთის ქუჩაზე მდებარეობს, გამოირჩევა კარგი აკადემიური მოსწრებით და სწავლის ხარისხის მაღალი დონით. სკოლას სათავეში უდგას ახალგაზრდა და ენერგიული ქალბატონი **ეკატერინე ხიჯაკაძე.** იგი, რამდენიმე თვეა რაც დირექტორია და სკოლაში ბევრი პრობლემა მოაგვარა, მოაწესრიგა ინფრასტრუქტურა, გაარემონტა ათი საკლასო ოთახი, სააქტო დარბაზი და დაამყარა სანიმუშო წესრიგი.

ქალბატონი ეკატერინე პროფესიით მათემატიკის პედაგოგია, დამთავრებული აქვს დედაუნივერსიტეტი. თავდაპირველად, 129-ე სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად მუშაობდა, შემდეგ კი დირექტორის მოადგილედ დაინიშნა. არის კარგი მენეჯერი და პედაგოგი.

ამ სკოლაში მუდამ შემოქმედებითი ფუსფუსია და აქაური მესვეურები ყოველ სასწავლო წელს მომზადებული ხვდებიან. ნაყოფიერი იყო გასული წელიც, რადგან სკოლას 7 ოქროს მედალოსანი ჰყავდა, რომლებიც წარმატებით ჩაირიცხნენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. ესენია: **თამთა წიკლაური, ანა აფაქიძე, ლანა ყაველაშილი, მარიამ აბაზაძე, გიორგი ბერიკიშვილი, მარიამ ხორბალაძე** და **ანა ქუთათელაძე**. **ანა ჯიჯილაშვილმა** კი ვერცხლის მედალი მოიპოვა.



დაწყებითების კათედრა

**ეკატერინე ხიჯაკაძე:** ჩვენი სკოლის მისიაა არამარტო მცოდნე და თანამედროვე სამყაროში კარგად ორიენტირებული ახალგაზრდები აღვზარდოთ, არამედ იყვნენ კონკურენტუნარიანები, რომელთაც ექნებათ ეროვნული ღირებულებები, მოკლედ, იქნებიან კარგი ადამიანები. სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად არიან ჩართულნი მშობლებიც. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარეა აქტიური მშობელი **ხათუნა ბასიაშვილი**.

ჩვენს სკოლაში ყოველთვის ასწავლიდნენ კარგი სპეციალისტები. მთელი კოლექტივი ერთ გუნდად არის შეკრული. ამჟამად, ჩვენთან 51 პედაგოგია და აქედან 20 სერთიფიცირებულია და ერთი **მაია ჩხიკვიშვილი** ათასლარიანი მასწავლებელია. მოსწავლეთა რაოდენობა კი – 796.

სკოლის ერთ-ერთი პრიორიტეტია – მოსწავლეების შემოქმედებითი უნარების განვითარება. სკოლაში ხშირად იმართება ღონისძიებები და ასევე, ხორციელდება სხვადასხვა სახის პროექტები. მოსწავლეები მონაწილეობენ **„კინგსის“**, **„სმარტ კომპეტინშენის“**, **„ევერესტის“**, **„რობინსონის“** ოლიმპიადებში, საიდანაც დაჯილდოვებულები და ქების სიგელებით დაბრუნდნენ.

სკოლის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის მაღალკვალიფიციურ პედაგოგებს და აქ მომუშავე თითოეულ თანამშრომელს.

სკოლაში ფუნქციონირებს 8 საგნობრივი კათედრა და მას ეფექტურად უძღვებიან გამოცდილი პედაგოგები: ქართული ენისა და ლიტერატურისას – **ნინო ხუციშვილი,** მათემატიკისას – **ირინე ჭალიძე**, საბუნებისმეტყველოსას – **სოფიო ვარადაშვილი,** დაწყებითი კლასებისას – **მაია ღონღაძე**, უცხო ენებისას – **ნათელა ლომიაშვილი**, საზოგადოებრივი მეცნიერებისას – **ქეთევან ქერაშვილი**, სპორტისას – **ეკა ჭალაშვილი,** ესთეტიკისას – **თინათინ მუჯირიშვილი.**

აქ განათლებასთან ერთად, მოსწავლეების ჯანსაღ ცხოვრებაზეც ზრუნავენ. სკოლა აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებში. 2014 წელს, სკოლამ **„ქინდერ დელისის“** თასი მოიპოვა, მხიარულ სტარტებში წარმატებით მონაწილეობისათვის.

სანიმუშოა, სკოლის ბიბლიოთეკარის **ლილი ხუციშვილის** საქმიანობა, რომელიც აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში. მოსწავლეთა თვითმმართველობის წყალობით კი, სკოლაში საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრება ჩქეფს და მას უნარიანად უძღვება თავმჯდომარე, მეთერთმეტე კლასის მოსწავლე **ლია ჭამპურიძე**.

ერთი სიტყვით, 129-ე სკოლას ყველანაირი პირობა და რესურსი აქვს იმისთვის, რომ იყოს და არის კიდევაც ერთ-ერთი სანიმუშო სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულება, რაც დირექტორის **ეკატერინე ხიჯიკაძის** დიდი დამსახურებაა.

სასწავლებლის პრესტიჟის ასამაღლებლად და სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, აქ ყველა მუშაკი მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული. სკოლას აქვს დიდი სამომავლო გეგმები და მოტივაცია დასახული მიზნის მისაღწევად.

**მზია გოგოძე**



საბუნებისმეტყველო და ესთეტიკის



უცხო ენისა და ქართულის



ქართული ენისა და ლიტერატურის



სპორტის და ესთეტიკის



## თბილისის 90-ე საჯარო სკოლა მოწინავეა

# მიზანი, რომელიც ოცნებაზე მეტია

**ჯანსალი** ცხოვრების დამკვიდრება, თანამედროვე ტექნოლოგიების დაუფლება და მაღალი დონის სწავლება – აი, ასეთი თვისებებით გამოირჩევა თბილისის 90-ე საჯარო სკოლა, რომელიც ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, მართლაც ღირსეულ ადგილს იკავებს. აქ მუდამ შემოქმედებითი ფუსფუსია და მუხლჩაუხრელად ზრუნავენ მოსწავლეების აღზრდასა და ცოდნის ამაღლებაზე.

სკოლას სათავეში უდგას ახალგაზრდა და ენერგიული ქალბატონი **თამარ მელიქიძე,** რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის სკოლის აღორძინებაში. იგი, კონკურსის შედეგად მეორე ვადით გახდა სკოლის ხელმძღვანელი და მართლაც, მუდმივად ზრუნავს პრობლემების მოაგვარებაზე, ინფრასტრუქტურის, მოწესრიგებაზე სხვადასხვა პროექტების განხორციელებაზე და სკოლის წინსვლაზე.

ქალბატონ თამარს დიდი გამოცდილება აქვს, როგორც პედაგოგიურ, ასევე მენეჯერულ საქმიანობაში. იგი პროფესიით ქიმიკოსია და თავდაპირველად, მოღვაწეობა დაიწყო ლაბორანტ-მეთოდისტად ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის ინსტიტუტში, ასევე, სხვადასხვა წლებში მუშაობდა მე-7 და მე-9 კერძო სკოლებში, ქიმიისა და დაწყებითი კლასების პედაგოგად, 44-ე სკოლაში მასწავლებლად და ორგანიზატორად, 190-ე სკოლაში – დირექტორის მოადგილედ. 2007-2010 წლებში იყო 90-ე სკოლის არჩეული დირექტორი და შემდეგ, როცა ორი სკოლა (121-ე და 90-ე) ერთად გაერთიანდა, ქალბატონმა თამარმა მოადგილის თანამდებობა დაიკავა. 2014 წლიდან კი, იგი სკოლის ხელმძღვანელია და კვლავ განაგრძობს პედაგოგიურ მოღვაწეობას.

**თამარ მელიქიძე:** ჩემი ხელმძღვანელობის პერიოდში არაერთი სიახლე და პროექტი განხორციელდა. ნაწილობრივ მოვაწესრიგეთ ინფრასტრუქტურა, გაიხსნა ლაბორატორიები და კლუბები – **ისტორიის**, **ქიმიის**, **საბუნებისმეტყველო**, **პოეზიის მოყვარულთა** და ა. შ. მართალია, ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ აუცილებელია შენობის სრული რეაბილიტაცია. იმედია, სამომავლოდ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დახმარებით, ყველა არსებულ პრობლემას მოვაგვარებთ. რაც შეეხება სასწავლო პროცესს, ამ მხრივ ყველაფერი კარგად არის. გვყავს მაღალკვალიფიციური პედაგოგები, რომლებიც ბევრს აკეთებენ იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ხარისხიანი განათლება მიიღონ. მთელი კოლექტივი ერთ გუნდად არის შეკრული, ერთმანეთთან მეგობრული და კოლეგიალური დამოკიდებულება აქვთ. გვყავს წარმატებული მასწავლებლები, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი პროფესიონალიზმით, აქტიურობით, ნოვაციებით და სიახლეების დანერგვით. ესენი გახლავთ: **მარინე პიტიურიშვილი, თინათინ ბარბაქაძე, ირმა ქერეჭაშვილი, ცისანა წიქარიძე, მანანა ბეგიაშვილი, გულნაზ ძიძიგური** და **მარინე ჩილენაძე.** წელს, ყველა მასწავლებელი მონაწილეობას მიიღებს სასერთიფიკაციო გამოცდებში. ჩვენი სკოლა, ძირითადად, გამოირჩევა მოსწავლეებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულებით, სხვადასხვა აქტივობებითა და მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მოსწრებით. სკოლაში სულ 775 ბავშვია. არიან წარმატებული მოსწავლეები, რომლებიც მონაწილეობენ სხვადასხვა პროექტებში და ოლიმპიადებში, საიდანაც სიგელებით და დიპლომებით ხელდამშვენებულები ბრუნდებიან. მაგალითად, სკოლის 5 მოსწავლე ჩართულია საპატრიარქოს ახალგაზრდულ მოძრაობა **„დავითიანი“**-ს პროექტში, სადაც გამარჯვების შემთხვევაში ტაო-კლარჯეთის ექსკურსიის პრიზს მოიპოვებენ. ასევე, სკოლაში ტარდება სხვადასხვა აქტივობები და ღია გაკვეთილები. შესანიშნავი პროექტი განვახორციელეთ ქიმიაში. სიახლეა ის, რომ მოსწავლეებს გაკვეთილები ჩაუტარდათ მუზეუმებში. ისინი ჩართულები არიან პროექტებში **„განძის მაძიებლები“** და **„საბავშვო არქეოლოგია“**. **შოთა რუსთაველის** საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით კი, მე-9 და მე-10 კლასებში, ჩატარდა **აფორიზმების კონკურსი**, სადაც გამარჯვებულები სიგელებით დაჯილდოვდნენ. აგრეთვე, ქიმიის კლუბი, საბუნებისმეტყველო საგნებში, ყოველწლიურად აწყობს ინტელექტუალურ შეჯიბრებებს და გამარჯვებული წინა წელს თეატრის ბილეთით დაჯილდოვდა. ეს ღონისძიება წელსაც გაიმართება. გამარჯვებულებს სიურპრიზი ელოდებათ. შარშან, წარმატებული წელი გვქონდა და გვყავდა მედალოსნები. ესენია: **ნიკა წიკლაური** (ოქროს), **ნინა არუდოვა, გოგა ფანგანი, ვერა ხანჩალიანი, გვანცა გუნჩაშვილი** და **ირაკლი ჩაჩხიანი** (ვერცხლის), რომლებიც წარმატებით ჩაირიცხნენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში.






90-ე სკოლაში დიდი ყურადღება ექცევა ჯანსალი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და სპორტს. სკოლაში ჩამოყალიბებულია სხვადასხვა წრეები და მოსწავლეები შეჯიბრებებში წარმატებით ასპარეზობენ. მაგალითად, მაგიდის ჩოგბურთში საქართველოს ჩემპიონები გახდნენ **ლაშა ლომაია** და **ლევან პავლიაშვილი**. შარშან, საქართველოს ბავშვთა და მოსწავლეთა ახალგაზრდობის სპორტის ეროვნული ფედერაციისა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ხელშეწყობით, სკოლის დირექტორი ნორჩ სპორტსმენებთან ერთად, იმყოფებოდა ისრაელის ქალაქ **ეილათში**, სადაც მოსწავლეთა მსოფლიო სასკოლო ოლიმპიადა გაიმართა. ამ ფაქტს კი, წინ უძღოდა გასულ ზაფხულს, ანაკლიის ბანაკში გამართული სპორტული შეჯიბრება – საქართველოს პირველობაზე, სადაც გამარჯვებული სკოლის მოსწავლეებს მიეცათ საშუალება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ეასპარეზათ. აქვე, უნდა აღინიშნოს სკოლის მოსწავლის **ცოტნე ქობალიას** წარმატება, რომელმაც ისნის რაიონში გამართულ სპორტულ შეჯიბრებაში, კერძოდ, მაგიდის ჩოგბურთში პირველი ადგილი დაიკავა.

საამაყოა ის ფაქტი, რომ სპორტის ეროვნული ფედერაციისა და ქალაქის მერიის მიერ განხორციელებულ პროექტში **„ლეგენდების კვალდაკვალ“**, 90-ე სკოლის მოსწავლეებმა **სოფო ჟივიძემ** და **ბექა რაზმაძემ** პირველი ადგილი და ფულადი პრემია 600 ლარი მოიპოვეს. სპორტულ აქტივობებში სკოლის გუნდი მე-4 ადგილზე გავიდა და გამარჯვებულნი 200 ლარით დაჯილდოვდნენ. გვჯერა, წარჩინებული მოსწავლეები სამომავლოდაც ასახელებენ სკოლას.





90-ე საჯარო სკოლას ყველანაირი პირობა და რესურსი აქვს იმისთვის, რომ, იყოს ერთ-ერთი სანიმუშო სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულება. ეს ასეც არის, რაც დირექტორის **თამარ მელიქიძის** და მთელი კოლექტივის დიდი დამსახურებაა. სასწავლებლის პრესტიჟის ასამაღლებლად და სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, აქ ყველა მუშაკი მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული. სკოლას აქვს დიდი სამომავლო გეგმები და მოტივაცია დასახული მიზნის მისაღწევად.

ხალისიანი გაზაფხულის შემობრძანებას გილოცავთ და მიზნების განხორციელებას გისურვებთ, 90-ე სკოლელებო!

**ანანო სამელია**

ГЕРБ МЕГУ




თემის გაგრძელება

# ევროსტანდარტების მხარდამხარ

**ჩვენი** სტუმარი აკადემიკოს **სტეფან დემიანჩუკის** სახელობის საერთაშორისო ეკონომიკურ-ჰუმანიტარული უნივერსიტეტის რექტორის ინტერესების წარმომადგენელი საქართველოს და ამიერკავკასიის ყველა სასწავლო დაწესებულებაში – **დავით კუპრაშვილი** გახლავთ. იგი ასევე ამავე უნივერსიტეტის პროფესორი, „ევროპული განათლების აკადემიის" მეთოდურ-საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელია და გვიამბობს ცენტრისა და უნივერსიტეტის ერთობლივ საპროფორიენტაციო, სასწავლო-მეთოდური საქმიანობის შესახებ.



**მინი დოსიე**: ქუთაისში წარჩინებით საშუალო განათლების მიღების შემდეგ, ასევე წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და მოსკოვის ტექნიკური უნივერსიტეტები ინჟინერ-ტექნოლოგისა და ინჟინერ-ეკონომისტის სპეციალობით. მინიჭებული აქვს რუსეთის ტურიზმის საერთაშორისო აკადემიის პროფესორის სამეცნიერო ხარისხი.

– ***ბატონო დავით სხვადასხვა დროს მუშაობდით ხელმძღვანელ თანამდებობებზე, როგორც სამრეწველო, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებებში...***

– დიახ, 40 წელზე მეტია ვემსახურები მოსწავლე-ახალგაზრდობის თეორიულ-პრაქტიკული ცოდნის, კულტურულ-ესთეტიკური დონის ამაღლებისა და მათი სრულფასოვან მოქალაქეებად ჩამოყალიბების საქმეს.

– ***ასევე, უნივერსიტეტსა და აკადემიას შორის გაფორმებული ხელშეკრულების დღიდან უძღვებით საპროფორიენტაციო, საკონსულტაციო, სასწავლო-მეთოდურ საქმიანობას...***

– მეტსაც გეტყვით, აქტიურად ვიყავი ჩართული ზემოთხსენებული ხელშეკრულების იმ მუხლის რეგლამენტირებაში, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია **ბოლონიის ხელშეკრულებისა** და **დუბლინის დისკრიპტორით** გათვალისწინებული ურთულესი სასწავლო გეგმებისა და პროგრამების დამუშავებასთან, რომლებმაც საბოლოოდ დადებითი ასახვა ჰპოვა აკადემიის საკონსულტაციო საქმიანობაში.

– ***ბატონო დავით, ვიცით, აკადემიის ბაზაზე მიმდინარეობს მოსამზადებელი, საკონსულტაციო-მეთოდური საქმიანობა, აგვიხსენით, ეს რა სარგებლის მომტანია სტუდენტებისთვის?***

– უნივერსიტეტთან შეთანხმებით, აკადემიის ბაზაზე მართლაც მიმდინარეობს მოსამზადებელი, საკონსულტაციო-მეთოდური საქმიანობა. МЕГУ-ში ჩარიცხული სტუდენტი აკადემიას მომართავს განცხადებით და უთითებს იმ დისციპლინებს, რომელშიც სურს მას კონსულტაციების გაწევა. დისციპლინების სირთულეებიდან გამომდინარე იღებენ მეთოდურ მითითებებს: **კომპიუტერული ინჟინერიის**, **საერთაშორისო ეკონომიკის**, **მენეჯმენტის**, **ფინანსების**, **ტურიზმის**, **სამართლის**, **ფიზიკური რეაბილიტაციის** მიმართულებებით. აკადემიის ბაზაზე საფუძვლიანად ეუფლებიან უკრაინულ ენას, ისტორიას, კულტურას და სხვა უცხო ენებს. აღნიშნულ დისციპლინებში ჩატარებული კონსულტაციებით მიღებული ცოდნის დონე მყარდება უნივერსიტეტში ასევე მაღალკვალიფიციური პროფესორების მიერ ჩატარებული ლექცია-სემინარებითა და პრაქტიკული სამუშაოებით, რაც საბოლოოდ ასახვას პოვებს იქ ჩატარებული სესიების შედეგებზე.

– ***ახლა ორიოდე სიტყვით МЕГУ-ს უპირატესობებზე, МЕГУ-ში ჩარიცხულ სტუდენტებზე და სწავლების ფორმაზე მოგვიყევით!***

– МЕГУ-ში სტუდენტის ცოდნის დონე ბოლონიის კონვენციის შესაბამისად ფასდება 100 ქულიანი სისტემით. МЕГУ-ში ლიცენზირებისა და აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მოქმედებს სწავლების შემდეგი ფორმები: დღის დასწრებული, დაუსწრებელ-დისტანციური, სტუდენტი ირჩევს მისთვის სასურველ სწავლების ფორმას. აკადემიის საკონსულტაციო-მოსამზადებელ საქმიანობაში ჩართულია დარგის მაღალი კლასის სპეციალისტები, ადგილობრივი პროფესურა, მეცნიერებათა კანდიდატები, დოქტორები, ექსპერტები, უკრაინიდან მოწვეული მაღალი რანგის პროფესორ-მასწავლებლები, აკადემიკოსები, რომლებიც ატარებენ სემინარ-მასტერკლასებს თანამედროვეობის მოთხოვნად აქტუალურ საკითხებზე. აკადემიის მიერ გაწეული მოსამზადებელი, საკონსულტაციო საქმიანობის შედეგად МЕГУ-ში წელს პირველად მოხდა ქართველი სტუდენტების სამაგისტრო ნაშრომების დაცვა სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიის წინაშე ფინანსები – საბანკო საქმე და სამართალმცოდნეობის მიმართულებით.

– ***როგორ ფიქრობთ, გაამართლა ქართველი სტუდენტების შრომისმოყვარეობამ და მიზანდასახულობამ, მიეღოთ ევროპული სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი განათლება?***

– დიახ, გაამართლა და თანაც როგორ... მაგისტრანტებმა დაუზოგავი შრომის ფასად საუკეთესოდ დაიცვეს თავიანთი შრომები და დაიმსახურეს მაღალი აკადემიური შეფასება. აღინიშნა მათი მომზადების საუკეთესო დონე, რაც გულისხმობს თემის აქტუალურობას ევროსტანდარტებთან მიმართებაში, ასევე კარგი შეფასება მიიღო სამეცნიერო კომპონენტებმაც, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია კომისიის წევრებსა და თავმჯდომარეს. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენს დიპლომანტებთან ერთად სახელმწიფო დაცვაზე იმყოფებოდნენ პოლონეთიდან, გერმანიიდან, ესპანეთიდან ამავე უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები, რომლებმაც წარმატებით დაიცვეს თავიანთი ნაშრომები. მაგისტრატურის კურსდამთავრებულებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ სახელმწიფო სტანდარტის ევროპული ნიმუშის მაგისტრის დიპლომები გაცემული უკრაინის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.




– ***წარმატებებს გისურვებთ. დარწმუნებული ვართ, რომ МЕГУ-ს კურსდამთავრებულები კიდევ არაერთხელ გასახელებენ.***

– ეჭვი არ მეპარება. ისინი სანიმუშოდ გაიკვლევენ გზას და იქნებიან წარმატებულნი, კონკურენტუნარიანი სპეციალისტები საქართველოსა და ევროპაში!



**დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ**: *ქ. თბილისი, მეტრო ახმეტელი (მუხიანის დასახლება), რამაზ შენგელიას 7. ტელ.: +995 592 92 55 92; www.eeacademy.ge ან შემოგვიერთდით facebook, „ევროპული განათლების აკადემია"-ზე.*

**ირმა მეზონია**

ლორენცო ცხადაიას მოსაგონარი

# ისი მუდამ ჩვენს გულებშია



**ეს** სამყარო ბავშვობიდან ორად მქონდა გაყოფილი და ამ სამყაროს ერთადერთი ძლიერი მხარე ეკუთვნოდა ერთადერთ ადამიანს, ადამიანს უნიჭიერესს, ადამიანს არაორდინალურს, სუფთა გულის პატრონს, ადამიანს რომელიც, ძლიერი საყრდენი ძალა იყო ჩემთვის, რომლის არსებობაც მაძლიერებდა და ყველაზე ბედნიერი ვიყავი მისი სიცოცხლით... ეს ადამიანია **ლორენცო ცხადაია**, მამაჩემი... მისმა გარდაცვალებამ ჩემი სამყაროს უძლიერესი მხარე დააბნელა და ასე იქნება სანამ ცოცხალი ვარ... ამაყად შემიძლია ვთქვა ყველგან და ყველასთან, რომ ეს უზადო ნიჭის პატრონი მამაჩემია... მასზე წარსულში არასოდეს ვისაუბრებ, რადგან ის ჩვენშია, მის თითოეულ ნაწარმოებში ცოცხლობს, მის სიყვარულით ნაშენებ სახლის კედლებშია, მის ჩაყრილ ვაზში, დაწურულ ღვინოში, მის ნამყნობ ხეხილში და მისსავე შექმნილ ეგზოტიკურ ბაღში... ის ყველგანაა, სადაც სიკეთე, სილამაზე და სიყვარულია...

**ნანა ცხადაია**

### ქიგიშინი
(შვილიშვილ ბექას)

ირო ჯგირი შარათ იდი,
ვეგერგებუ ჩანგალური,
დღას ვეგიჭყოლიდუა სკან
კუნთხუ დო მარგალური.
ქიგიშინი, ვაგგოჭყორდას
ბაბუშ მარან დო ჯარგვალი,
ეთიწკუმა იიქ ბაბუ,
ჯგირ კოჩი დო ჯგირ მარგალი.
მითინ ვასკიდ გვალო ბოლოს,
ირკოს მოძუ ართშა ღურა,
მარა, ირო ქორშუდას
დიდაშ ბჟა დო „სისა ტურა".

**ლორენცო ცხადაია** 27.08. 2015 წ.

### მე არასოდეს არ მისწავლია

მე არასოდეს არ მისწავლია,
როგორ ავაწყო ლექსის ბწკარები,
როგორ ვიპოვო მოყვასთა ნდობა,
როგორ აღვიქვა ცისკრის ზარები.
მე არასოდეს არ მისწავლია,
რომ ფეხშიშველმა ვიარო მთაზე,
მაგრამ, მე ესეც შევძელ კაცურად,
ეკლებიც ვნახე ობლობის გზაზე.
მგონი, მე ჩემი კალო გავლეწე,
მგონი სიკეთის დავტოვე კვალი,
თუმცა, ვაგრძელებ სიკეთის თესვას,
რომ მოვიხადო სახდელი ვალი.

**ლორენცო ცხადაია** 3.11. 2015 წ.

თბილისის 177-ე საჯარო სკოლა სიახლეებს ნერგავს

# თანადგომა და სიყვარული მტკიცედ გვაერთიანებს



**ოცდაათ** წელზე მეტია გლდანის მე-5 მიკრო-რაიონში თბილისის 177-ე საჯარო სკოლა ფუნქციონირებს. 2007 წელს ამ სკოლის დირექტორად **გელა ოდიშელიძე** აირჩიეს. იგი აქ დღემდე მოღვაწეობს. ბატონი გელა პროფესიით ფილოსოფოსია. დედაუნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სწავლა გერმანიაში გააგრძელა, უკან დაბრუნებული კი მცხეთის ერთ-ერთ სკოლაში მუშაობდა და უნივერსიტეტთანაც თანამშრომლობდა.

ახალ დირექტორს საკმაოდ რთული მემკვიდრეობა დახვდა. შემოქმედი დირექტორის ძა-



ლისხმევით ბევრი რამ შეიცვალა, პროცესები დალაგდა, ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა. სკოლის ეზო აღარ არის უცხო პირების შემთხვევითი თავყრილობების ადგილი. ყველგან წესრიგი და სისუფთავეა, კლასები შესაბამისი ინვენტარით არის აღჭურვილი. იზრდება მოსწავლეთა რაოდენობა. წელს პირველად ხუთი პარალელური პირველი კლასი გაიხსნა. შარშან სკოლას 4 მედალოსანი ჰყავდა, 2 ოქროსი და 2 ვერცხლისა. ამჟამად თვალშისაცემია ჯანსაღი, კოლეგიალური გარემო. პედაგოგები და დირექტორი, ურთიერთთანამშრომლობის 10 წლის მანძილზე ერთ მტკიცე ოჯახად შეიკრა. უსიტყვოდ ესმით ერთმანეთის და ყველაფერი თავის ადგილზეა.

პედაგოგებისგან მოზარდები მუდმივად გრძნობენ თბილ, მეგობრულ დამოკიდებულებას. ხარისხიანი განათლების მიღებისათვის მოსწავლეებს ყველა პირობას უქმნიან დირექტორის მოადგილე **ინგა მოსიაშვილი** და უფროსი მასწავლებლები: **სვეტლანა არხიპოვა** (მათემატიკა), **შორენა ბურჭულაძე** (ინგლისური ენა), **გვანცა გოგალაძე** (ქართული ენა და ლიტერატურა), **ცეზარი კორტი** (დაწყებითი კლასები), **ნელი ლანჩავაშვილი** (დაწყებითი კლასები), **ელენა ლინნიკ** (დაწყებითი კლასები), **ლიკა მაისურაძე** (ბიოლოგია), **მაია მახარაძე** (დაწყებითი კლასები), **თამარ მიგრიაული** (ინგლისური ენა), **ინგა მოსიაშვილი** (მათემატიკა), **ნინო მოსიაშვილი** (დაწყებითი კლასები), **თამარ ნადიბაიძე** (ქართული ენა და ლიტერატურა), **ინგა ნავდარაშვილი** (ფიზიკა), **სოფიო სამხარაძე** (რუსული ენა), **ანანა სივსივაძე** (დაწყებითი კლასები), **შორენა უსენაშვილი** (გეოგრაფია), **სოფიო ფერაძე** (დაწყებითი კლასები), **რუსუდან ფიცხელაური** (ისტორია), **ლარისა ქავთარაძე** (მათემატიკა), **ანა ქასოშვილი** (ისტორია), **ლია ღაჭავა** (დაწყებითი კლასები), **ნინო ჩინჩალაძე** (ინგლისური ენა), **იზოლდა ჩიტაძე** (ქართული ენა და ლიტერატურა), **ლელა ჩოხელი** (ქიმია), **მაკა ჩხაიძე-აბაიშვილი** (მათემატიკა), **ნინო ჯეირენაშვილი** (ისტორია), **ხათუნა ჯულელი** (ქართული ენა და ლიტერატურა).

ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე, რომლითაც ხორციელდება სკოლაში საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი პროცესები, შექმნილია 6 საგნობრივი კათედრა: ქართული ენა-ლიტერატურისა (ხელმძღვანელი **თამარ ნადიბაიძე**), მათემატიკისა (**მაკა ჩხაიძე-აბაიშვილი**), ესთეტიკური და საზოგადოებრივი მეცნიერებებისა (**რუსუდან ფიცხელაური**), საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა (**ინგა ნავდარაშვილი**), დაწყებითი კლასებისა (**ნანა ბაიაშვილი**), უცხო ენებისა (**თამარ მიგრიაული**).

აკადემიური პერსონალი თავისი პროფესიული განვითარებით საკმაოდ მაღალ დონეზეა. საგნის ჩინებული სპეციალისტები არიან პრაქტიკოსი პედაგოგები: **თინათინ აფციაური** (დაწყებითი კლასები), **ნანა ბაიაშვილი** (დაწყებითი კლასები), **ნანული ვაშაკიძე** (ინგლისური ენა), **ნუნუ ბერიძე** (დაწყებითი კლასები), **ირმა კიკვაძე-როსტომაშვილი** (ქიმია), **ლალი კილასონია** (ხელოვნება), **ანა კვიჟინაძე** (სპეციალური პედაგოგი), **მანანა ლობჟანიძე** (დაწყებითი კლასები), **აზა მაისურაძე** (ბუნებისმეტყველება, ქიმია), **ინგა მიქაელიანი** (რუსული ენა), **ჟუჟუნა მნათობიშვილი** (დაწყებითი კლასები), **მანანა სიხარულიშვილი** (ქართული ენა ლიტერატურა), **ნელი ლავრელაშვილი** (სპორტი), **ვლადიმერ ანთიძე** (სპორტი), **დარეჯან ულუმბელაშვილი** (დაწყებითი კლასები), **ანა შავლოხაშვილი** (მუსიკა), **ფიქრია ჭანკვეტაძე** (სპეციალური პედაგოგი), **ია ჯეირანაშვილი** (ინფო მენეჯერი, ისტ პედაგოგი), **თამარ ცინცაძე** (ფსიქოლოგი).

სკოლის შენობაში მეგზურობას გვიწევდა ძალიან გულისხმიერი და თავისი საქმის საკმაოდ კარგი სპეციალისტი, ინფო მენეჯერი **ია ჯეირანაშვილი**, ასევე საქმისმწარმოებელი **ეკატერინე ბაკურაძე**.






177-ე საჯარო სკოლისა და თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგეობის ორგანიზატორობით ყოველწლიურად, გაზაფხულზე, აპრილის თვეში იმართება ზღაპრის ფესტივალი **„ცეროდენა“**, რომლის მიზანი ბავშვებში კულტურისა და ესთეტიკური გემოვნების განვითარება, თეატრალური, ქორეოგრაფიული და ვოკალური ხელოვნებისადმი ინტერესის ამაღლება და ბავშვთა შემოქმედების განვითარებაა. ფესტივალი უკვე ტრადიციად იქცა და როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლის დაწყებითი კლასების მოსწავლეებს მასპინძლობს. სასწავლო თეატრ-სტუდია **„ზღაპარი“** (ხელმძღვანელი – **ვასილ ღუნაშვილი**) ახალ-ახალი სპექტაკლით წარსდგება ხოლმე მაყურებლის წინაშე და არც გამარჯვება აკლიათ.




სკოლაში იჯარით გაცემულ ფართზე ფუნქციონირებს: ტაეკვანდოს სექცია (ხელმძღვანელი – **გიორგი ივანიშვილი**), კალათბურთი (ხელმძღვანელი – **დავით მაჭავარიანი**), სპორტული და სამეჯლისო ცეკვების სტუდია (ხელმძღვანელი – **ლევან ახვლედიანი**), ქართული ხალხური ცეკვების ანსამბლი **„ჩუქურთმა“** (ხელმძღვანელი – **თამაზ ტატიშვილი**), თანამედროვე თავისუფალი ცეკვების სტუდია (**გიორგი ტატიშვილი**), გამოფენებით ხშირად ანებივრებთ სახვითი ხელოვნების წრე (ხელმძღვანელი – **ინგა ლანჩავაშვილი**).

მერვე-მეცხრე კლასის იმ მოსწავლეებს – **ქეთი გოგატიშვილს**, **ხატია როსტომაშვილს**, **სალომე გონგაძეს**, **ნუგო გოგრიჭიანს**, **ანა კურტანიძეს**, **ელენე შენგელიას** და **ლაშა შავრეშიანს**, რომლებმაც გაიარეს სკოლებში სეუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული სამოქალაქო განათლების პრაქტიკული კურსი, სამართლის და სამოქალაქო განათლების ტრენინგები, საქართველოს ეროვნულმა უნივერსიტეტმა უმასპინძლა და სერთიფიკატებით დააჯილდოვა.

რეფორმა მოსწავლეზე ორიენტირებულ, მაღალხარისხიან სწავლებას ითხოვს. სკოლის პედაგოგები ამ სქემაში აქტიურად არიან ჩართულები და სასურველ შედეგებსაც იღებენ. მოსწავლეები მასობრივად მონაწილეობენ სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში, ოლიმპიადებში, არაერთ საერთაშორისო პროექტში. სულ ახლახანს ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მე-3 ტურში გადავიდნენ – **ნინა ავდალიანი** და **ნინა მალჩევსკი** (რუსული ენა).

მრავალმნიშვნელოვანია სკოლის დირექტორის განაცხადი: ჩვენ ვართ ადამიანები და ურთიერთპატივისცემა, სიყვარული, ერთგულება, მადლიერება და სამშობლოს სიყვარული უნდა გვაერთიანებდეს. დიახ, ეს ასეც არის! სადაც ასეთი ურთიერთობაა, გამარჯვებაც იქ არის.

**ნათია გურგენიძე**





**თბილისის 81-ე ქართულ-რუსული საჯარო სკოლა — 80**

# მეგობრობა და ტოლერანტობა ჩვენი ცხოვრების წესია

**ამ** სახელოვან სკოლას ამჟამად 80 წლის იუბილე ამშვენებს. თავიდანვე დიდხანს რუსული სკოლა იყო, სამხედრო პირებისა და ექიმების შვილები სწავლობდნენ. მხოლოდ შვიდი წელია, რაც ქართული სექტორი გაიხსნა, სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეები, ტრადიციულად, მეგობრობისა და ტოლერანტობის სულისკვეთებით იზრდებიან.

კარგა ხანია სკოლას წარმატებით უძღვება გამოცდილი, შემოქმედი დირექტორი **მაგდა ბარამიძე**. მას მხარში აქტიურად უდგას მოადგილე, ჩინებული,



ერუდირებული პედაგოგი **კარინა ბერძენიშვილი**, ძლიერი პედკოლექტივი. ეს კი ბევრს ნიშნავს.

ყველაფერს სჯობს სკოლის პირველ პირთან ინტერვიუს მოკლე შინაარსს გავეცნოთ.

***

თბილისის ერთ ძველ ქუჩაზე, აგურით აშენებულ ოთხსართუ-



ლიან შენობაში დღეს საინტერესო სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი მიმდინარეობს.

80-იანი წლების შემდეგ სკოლას **გალინა იაროშევსკაია** ხელმძღვანელობდა, სასწავლო პროცესს კი **გალინა შირიხანოვა** უძღვებოდა. 2003 წელს სკოლას სათავეში ჩაუდგა ამავე სკოლის კურსდამთავრებული, ბიოლოგი **კარინა ბერძენიშვილი**. მოგვიანებით კი სკოლის მმართველობა **მაგდა ბარამიძემ** ჩაიბარა. გასული წელი მეტად მძიმე აღმოჩნდა სკოლის პედაგოგიური კოლექტივისთვის. **გალინა შირიხანოვა** ის ადამიანია, რომლისთვისაც N81-ე სკოლა არ იყო მხოლოდ სამსახური. ეს მისი ცხოვრების ნაწილი იყო.

813 მოსწავლის სისტემურ მართვაში ჩართულია რვა კათედრა, რომელთაც უნარიანად უძღვებიან: ქართული ენისას **ქეთევან კანდელაკი**, უცხო ენებისას **მადლენა სევინიანი**, მათემატიკისა და ისტორიისას **სოფიო ოსეპიანი**, საზოგადოებრივი მეცნიერებებისას **კონსტანტინე ამაღლობელი**, საბუნებისმეტყველო კათედრას **სვეტლანა მამუჩიშვილი**, ესთეტიკისა და სპორტის კათედრაზე კოლეგებთან მუშაობს ახალგაზრდა პედაგოგი **ქეთევან კუპატაძე**, დაწყებითი საფეხურის კათედრას ეფექტიანად ხელმძღვანელობს **მაია გოგნიაშვილი**.

პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით, სკოლაში დაინერგა 5-ეტაპიანი მონიტორინგის სისტემა სხვადასხვა საგანში კლასების მიხედვით. გაჩენილმა პრობლემებმა ჩართო სკოლის პედაგოგები კვლევაში. კვლევა წიგნიერებაშიც ჩატარდა და მის საფუძველზე შეიქმნა **„მკითხველთა კლუბი“**. მაღალია მოსწავლეთა აქტივობები კონკურსებში, ოლიმპიადებში.

საკმაოდ წარმატებულია პროექტი-კონკურსი **„რეიტინგი“**, რომლის ფარგლებშიც უამრავი ქვეკონკურსი ხორციელდება. როდესაც „რეიტინგი“ იწყება, სკოლა სხვა რელსებზე გადადის. ეს გუნდური პროექტია, რომლის



მიზანია მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლება და სკოლისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება. **„რეიტინგში“** მთელი სკოლის მასწავლებლები და მშობლებიც არიან ჩართულნი მოსწავლეებთან ერთად. აქ კათედრების როლი მეტად მნიშვნელოვანია.

სკოლაში ჩაეყარა საფუძველი არაფორმალურ განათლებას. რამდენიმე წელია ვმეგობრობთ სკაუტ გოგონათა ასოციაცია **„დეასთან“**. მათთან ერთად ვგეგმავთ ხალისიან, საინტერესო აქტივობებს.

სკოლა თანამშრომლობს **„საქართველოს „წითელ ჯვართან“**. მონაწილეობას იღებს მათ მიერ გამართულ სოციალურ აქტივობებში. გვყავს ხუთთა კომიტეტი, რომელიც თანამშრომლობს საორგანიზაციო კომიტეტთან.

გვაქვს ტრადიციული, შიდასასკოლო სოციალური პროექტები: **„სიკეთე გადამდებია“**, **„5 კანფეტის აქცია“** და ა.შ. მოსწავლეთა თვითმმართველობა ეხმარება სოციალურად დაუცველი მოსწავლეების ოჯახებს. ყველა ამ ღონისძიებას კოორდინაციას **სილვა აბრამიანი** უწევს. იგი რუსული ენის წარმატებული პედაგოგია.

სკოლა წარმატებით ჩართულია საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტში „G-PRIED“.

სკოლა ამაყობს სწავლაში წარჩინებული მოსწავლეებით. აქ აღზრდილთა უმეტესობა დღეს რუსეთის ფედერაციაში მოღვაწეობს. განსაკუთრებით ამაყობს სკოლა თავისი წარჩინებული კურსდამთავრებულებით: **ნატა ხარაბაძე** (მედალოსანი). ამ დროისთვის გაცვლითი პროგრამით სწავლობს ჩინეთის რესპუბლიკაში; **ალექსანდრე ეროიანი** (მედალოსანი, სტიპენდიანტი). გარდა ამისა სანდრო ნიჭიერთა ათწლედის კურსდამთავრებულია, პროფესიონალურ დონეზე უკრავს ვიოლინოზე და გატაცებულია ველოსპორტით; **ლანა ბაჩალიაშვილი** (დედაუნივერსიტეტის სტუდენტი, სტიპენდიანტი. ეროვნული ოლიმპიადის მესამე ტურის გამარჯვებული. ლიდერია ბაქსვუდის ინგლისურენოვან ბანაკში; **ეკატერინე ჭელიძე** (ბულგარეთის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტი, მედალოსანი. სკოლამ მიიღო მადლობის წერილი უნივერსიტეტიდან); **ალექსანდრა მიქელაძე** (ბელორუსიაშია).

ახლა მეთორმეტეკლასელი მოსწავლე **ნიკოლოზ გონიევი**, მეთერთმეტეკლასელი **ნიკოლოზ სიდელნიკოვი** ოქროს მედლის კანდიდატები არიან. გვყავს შესანიშნავი მევიოლინე **კონსტანტინე ეროიანი**. **„ჩემი ცხოვრების პატარა ამბავი“** – ასე ჰქვია მის წიგნს, რომლის პრეზენტაციაც სულ ცოტა ხნის წინ გაიმართა.

მოქანდაკე – მეათეკლასელი **ედგარ ვარდერესიანის** პერსონალურმა გამოფენამ დადებითი შეფასება მიიღო დამთვალიერებლისგან.

მეტად პოპულარულია ქართული-ხალხური ცეკვების წრე **„შავნაბდელი“** (ხელმძღვანელები – **ვახტანგ მელიქიშვილი** და **თეონა მუსელიანი**). ანსამბლი მონაწილეობს ფესტივალებში: **„გაზაფხულის ფერები“** და **„ვი-**



**ცეკვოთ ქართულად“**.

წარმატებით ფუნქციონირებს სპორტულ-სამეჯლისო ცეკვების წრე **ინა პეტროსიანის** ხელმძღვანელობით. ერევანში გამართულ საერთაშორისო ოლიმპიადაზე. პირველი ადგილი მოიპოვეს: **ლილია ზახარიანმა**, **ელმირა მარტიროსიანმა**, **ლიზა გაგულიძემ**,



**მარიამ აფხაზიშვილმა**.

ბატონი **ირაკლი კილაძის** ხელმძღვანელობით, რეგულარულად ტარდება ჭადრაკის გაკვეთილები.



ერაყელ და ეგვიპტელ ბავშვებს ქართულ ენას ვასწავლით. პროექტის ინიციატორი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროა. 93 ბენეფიციართან მუშაობს კონკურსის შედეგად გამოვლენილი 8 მასწავლებელი.

გაიმართა შეჯიბრი მინი ფეხბურთში. განხორციელდა პროექტი **„გზავნილი საქართველოს“**. 700 წერილი სკოლის ფოიეში გამოიფინა. ღონისძიებას ესტუმრა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ქალბატონი **ლია გიგაური**. ჩატარდა კალიგრაფიული კონკურსი.

სკოლამ გაიმარჯვა კონკურსში: **„ოკუპაციის კვირეული“** და **„ოკუპაციის უცნობი ეპიზოდები“**. სკოლაში ტარდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები: **„მხიარული სტარტები“**, **„გოგონების და ვაჟების ფეხბურთი“**. **„განძის ძიება“**. **„მამების ფეხბურთი“**.

საინტერესო ღონისძიებებს ატარებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლაში ფუნქციონირებს **„არტ-წრე“** რომლის ხელმძღვანელი **ციცინო ოსიყმიშვილია**.

სკოლა ინტენსიურად ნერგავს ინკლუზიურ განათლებას.

**„მომავალი ჩვენია“!** – ასე ჟღერს სკოლის დევიზი.

სკოლამ მოიპოვა ნდობა და აქვს პრეტენზია იყოს სათემო ცენტრი. მისი მთავარი ღირებულებაა თანამშრომლობის სამკუთხედი: **მოსწავლე – მასწავლებელი – მშობელი და. ტოლერანტობა**.

ასეთი შინაარსიანი, მჩქეფარე ცხოვრებით ეგებება 81-ე სკოლა საიუბილეო 80 წლისთავს. გამარჯვებები იყოს თქვენი თანამგზავრი!

**რომან მოსეშვილი**

სახალხო განათლება +

22 მარტი, 2017

გაზაფხულია 131-ე ბაგა-ბაღში

# იგი პატარებს მუდამ ემახსოვრებათ



**თბილისის** 131-ე ბაგა-ბაღში სტუმრობისას საოცრად თბილი და მყუდრო გარემო დამხვდა. ყვავილებითა და მომხიბლავი თვალსაჩინოებებით მორთული დერეფნები და ოთახები, მშვიდ, კომფორტულ სიტუაციას ქმნის და პატარებს ხალისიან განწყობაზე აყენებს. ამ საბავშვო დაწესებულებაში ესთეტიკას და სილამაზეს ყოველთვის დიდი ყურადღება ექცეოდა და დღესაც ასეა. ამჟამად ბაღს ხელმძღვანელობს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი **თამილა ნინიაშვილი**, რომელიც გამოცდილი და კვალიფიციური კადრია. იგი მანამდე, 64-ე ბაგა-ბაღის დირექტორის მოადგილე გახლდათ.

ქალბატონმა თამილამ გულთბილი მეგზურობა-მასპინძლობა გამიწია, დამათვალიერებინა ბაღის ყველა კუთხე-კუნჭული, გამაცნო თითოეული თანამშრომელი, რომლებიც თავდაუზოგავად იღვწიან პატარების აღზრდა-განვითარებისათვის. ამიტომაც არის, რომ მშობლებისგან მადლობას და შექებას იმსახურებენ. ბაღი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით, რომლებიც ერთ გუნდად არიან შეკრულნი და მუდამ მეგობრული ატმოსფერო სუფევს.

განსაკუთრებით გამახარა ჩემი კოლეგის, ჟურნალისტ **მარინე გურასპაშვილის** ხილვამ, რომელიც ბაღში სპეცპედაგოგად მუშაობს და დარწმუნებული ვარ იგი ისეთივე წარმატებით უძღვება თავის ამჟამინდელ საქმიანობას, როგორიც არის ჟურნალისტიკაში.



რაც შეეხება ბაღის ინფრასტრუქტურას, იგი მთლიანად მოწესრიგებულია, გარემონტებულია სველი წერტილები, სამზარეულო და დარბაზი. საბავშვო ოთახები და დერეფნები მორთულ-მოკაზმულია პატარების შემოქმედებით, ნახატებით, აპლიკაციებით, გამოძერწილი ზღაპრის გმირებით. ბაღის ეზო მოპირკეთებულია და დამშვენებულია ატრაქციონებითა და სხვადასხვა მწვანე ნარგავებით. ბაღი აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით, სათამაშოებითა და ლიტერატურით.



ბაღში ამჟამად, 256 ცეროდენა ფრთიანდება. სულ 6 ჯგუფია და 31 თანამშრომელი. აქ ძირითადი ყურადღება ეთმობა ცუგრუმელების შემოქმედებითი უნარების განვითარებას. მთელი კოლექტივი მოწოდებულია იმისთვის, რომ, რაც შეიძლება მეტი საინტერესო, შემეცნებითი ხასიათის ღონისძიება ჩაატარონ. წარმატებით ხორციელდება **„სასკოლო მზაობის“** პროგრამა, სისტემატურად იმართება სეზონური ზეიმები და სხვადასხვა თემაზე აქტივობები. თვალხატულა გოგო-ბიჭები სტუმრებს თავიანთი შემოქმედებით ხიბლავენ. პატარების გამხიარულებაზე ზრუნავს მუსიკის პედაგოგი **მედეა ქინქლაძე**.

ბაღის ხელმძღვანელი მაღალ შეფასებას აძლევს მისი მოადგილის **ნინო ქევხიშვილის** და მეთოდისტის **გულნარა სალუქვაძის** მოღვაწეობას, რომლებიც თავისი საქმის მაღალი პროფესიონალები არიან. ასევე, აღნიშვნის ღირსია ფსიქოლოგ **ქეთევან მაჭავარიანის**, მნე-ს **მაია თევდორაძის**, საქმისმწარმოებლის **მაია მჭედლიშვილის** საქმიანობა.

ბავშვების სისუფთავესა და ჯანმრთელობაზე ბევრს ზრუნავს ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორი **ირმა მაისურაძე.**



უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს ძალისხმევით, დედაქალაქის ყველა საბავშვო დაწესებულებაში პატარების კვება მაღალ დონეზეა და მრავალფეროვანია, სადაც დაცულია ცხიმებისა და ცილების თანაფარდობა.



131-ე ბაღშიც განსაკუთრებული ყურადღება კვებას ექცევა და პატარებს გემრიელ კერძებს უმზადებს მზარეული **ნატო მახარაშვილი** და მისი თანაშემწე **ლელა შალამბერიძე**.

აღსაზრდელებს განსაკუთრებით თბილად ეპყრობიან, დედასავით ზრუნავენ და მათ სულს უფაქიზებენ ჩინებული აღმზრდელები: **ნაირა ხუციშვილი, ნანა თორდია, ბელა ხადური, მაია ტონია, თამილა სიგუა** და **ლია ჯაფარიძე.** მათ გვერდში უდგანან თანაშემწეები: **თამარ სულაძე, ნინო ბაჯელიძე, თამარ გველესიანი, ნინო მირგატია, მარინე მაყაშვილი** და **ეკატერინე ქვაჩახია.**

მშობლები კმაყოფილებას გამოთქვავენ ბაღის სისუფთავესა და სანიტარულ მდგომარეობაზე, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის ტექნიკურ პერსონალსაც. ესენია: **ნათია სირაძე, ელენე გრიგოლია, ნინო ქარსელაძე, სირანუშ კაპანიანი, ეკა ორაგველიძე, ანა ნასყიდაშვილი, თამარ ელიაშვილი** და **დავით ჭინჭარაძე**.



თამამად ვამბობთ: 131-ე ბაგა-ბაღი დღითიდღე ვითარდება, ძლიერდება. ინერგება სიახლეები და წარმატებით მიიწევს წინ, რაც აქაური მესვეურების თავდაუზოგავი შრომის შედეგია. მთელი კოლექტივი, **თამილა ნინიაშვილის** ხელმძღვანელობით ძალ-ღონეს არ იშურებს იმისთვის, რომ ეს საბავშვო დაწესებულება იყოს სანიმუშო და პატარებს შეუქმნან ისეთი პირობები, რომ აქ გატარებული ლამაზი დღეები მთელი ცხოვრება დაამახსოვრდეთ.

ყველას გილოცავთ ხალისიანი, იმედიანი, ჯადოსნური გაზაფხულის მობრძანებას!

**მზია გოგოძე**



ბულბულის სტვენა, შაშვის გალობა — 163 ბაგა-ბაღში

# იცით, ცეროდენებს აქ რატომ მიუხარიათ?









**თბილისის** 163-ე ბაგა-ბაღი ვარკეთილის მე-4 მიკრორაიონშია განთავსებული და პერიფერიული მდებარეობის მიუხედავად, საკმაოდ პოპულარული გახლავთ. იგი ტრადიციული სტანდარტული საბავშვო დაწესებულებაა და მის კედლებში უამრავი პატარა აღიზარდა. ბაღი ყოველთვის გამოირჩეოდა წესრიგით, ცნობილი იყო მაღალკვალიფიციური კადრებით, რაც დღემდე გრძელდება. აქ შესვლისთანავე იგრძნობა სილამაზე და ესთეტიკა, სისუფთავე და წესრიგი. ეზო მოპირკეთებულია. დამონტაჟებულია ატრაქციონები. ინფრასტრუქტურა მოწესრიგებულია და ბაღი აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით. ოთახები და დერეფნები გაფორმებულია მომხიბლავი თვალსაჩინოებებით, ყვავილებითა და აპლიკაციებით.

163-ე ბაგა-ბაღის დირექტორია ერუდირებული პროფესიონალი **შორენა ლურსმანაშვილი**. იგი გამოირჩევა საქმისადმი თავდადებით და ბავშვებისადმი განსაკუთრებული სიყვარულით. ქალბატონი შორენა ერთ წელზე მეტია, რაც ბაღს სათავეში უდგას და ბევრი რამ გააკეთა. ბაღის იერ-სახე საგრძნობლად შეიცვალა და უფრო მომხიბლავი გახდა. ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელის **თემურ თორდინავას** დახმარებით, მოწესრიგდა ეზო, შეიცვალა ღობე, დაიდგა სკამები და დამონტაჟდა ატრაქციონები. გარემონტდა შენობის შიდა ინფრასტრუქტურა, საძინებლებში განახლდა საბან-ლეიბები, სამზარეულო აღიჭურვა თანამედროვე ინვენტარით და ჭურჭლებით, გაკეთდა ბიბლიოთეკა, ასევე, ლოგოპედის, ექიმის, საქმის მწარმოებლის, ფსიქოლოგის და მეთოდისტის ოთახები. შეიძინეს ახალი სათამაშოები, სახელმძღვანელოები. ერთი სიტყვით, აქ ცუგრუმელებისთვის საუკეთესო საყოფაცხოვრებო პირობებია.

ქალბატონი შორენასთვის, სკოლამდელი აღზრდის სისტემა უცხო არ არის. მას დამთავრებული აქვს სულხან-საბას სახელობის ინსტიტუტის დაწყებითი განათლების ფაკულტეტი და მუშაობდა 178-ე საჯარო სკოლაში მასწავლებლად. მისთვის ბავშვებთან ურთიერთობა დიდი ბედნიერებაა. საკუთარი შვილივით უყვარს თითოეული მათგანი.

ბაგა-ბაღის მესვეურები ერთ ჯანსაღ გუნდად არის შეკრული და მთელი კოლექტივი მუხლჩაუხრელად ზრუნავს პატარებისთვის კომფორტული გარემოს შექმნაზე. დირექტორის ინიციატივით, ბაღის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ბევრ აქციაში. განსაკუთრებით საგულისხმოა ერთ-ერთი: მოიწვიეს სისხლის ბანკი და სისხლი ჩააბარეს.

ერთი სიტყვით, ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ აღმზრდელობითი პროცესი მაღალ დონეზე წარიმართოს. აქ სულ 13 ჯგუფია და 445 პატარა ფრთიანდება. **„სასკოლო მზაობის“** პროგრამა წარმატებით ხორციელდება და წლეულს, ბევრ აღსაზრდელს დაულოცავენ გზას სკოლისაკენ. დაგეგმილია გამოსაშვები ღონისძიების საზეიმო ვითარებაში, ემოციურად ჩატარება.

ბაღში დიდი ყურადღება ექცევა ცუგრუმელების შემოქმედებითი უნარების განვითარებას, სისტემატურად ტარდება სხვადასხვა სახის აქტივობები, სპორტული შეჯიბრებები და სხვა. ასევე, ეწყობა გასვლითი ღონისძიებები ზოოპარკში, მედეათეკაში და სკოლის ბიბლიოთეკაში.

ბავშვებზე დედასავით ზრუნავენ და მათ სულს უფაქიზებენ ჩინებული აღმზრდელები. თითოეულ მათგანს შესაბამისი ტრენინგი აქვს გავლილი და თავიანთი საქმის პროფესიონალები არიან. სწორედ, მათი დამსახურებაა, რომ ბაღი სკოლებიდან ყოველწლიურად, სამადლობელო ბარათებს იღებს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს დირექტორის მოადგილის **ლელა მუმლაძის,** მეთოდისტის **ლალი გიორგაძის** და სამეურნეო ნაწილის კოორდინატორის **ხათუნა ფოფხაძის** თავდაუზოგავი შრომა. ასევე, მადლობას იმსახურებენ ფსიქოლოგი **ნინო ტიტვინიძე,** ლოგოპედი **თამარ ცერცვაძე,** საქმისმწარმოებელი **მარინა ელაშვილი** და ექიმი **ნინო დარსანია.** ბაღს მთელი გულით ემსახურება ტექნიკური პერსონალი, განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ **იგორ ცერცვაძე**.

დირექტორის თქმით, ბავშვებს ოპერატიულად მიეწოდებათ ხარისხიანი საკვები, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. არის მრავალფეროვანი მენიუ, სადაც დაცულია კალორიულობა, ცილებისა და ცხიმების თანაფარდობა. ამ საბავშვო დაწესებულებაში, დიდი მზრუნველობით ეპყრობიან განსაკუთრებული საჭიროების მქონე პატარებს, რომელთანაც მუშაობს სპეც-პედაგოგი **მარგალიტა ჯაჯანიძე**.

ცეროდენების ცხოვრებას ალამაზებენ მუსიკის მასწავლებლები: **ნინო კილასონია, მანანა მაჩაიძე** და ცეკვის პედაგოგი **ნათია გაბროშვილი**, რომლებიც შემოქმედებითად უდგებიან თავიანთ საქმეს და არიან ყველანაირი ღონისძიების სულისჩამდგმელები. ასევე პატარებს უნერგავენ მუსიკალური ხელოვნების სიყვარულს.

ქალბატონმა შორენამ სამომავლო პროექტებიც გაგვიმხილა, ზაფხულისთვის სააგენტოს ხელშეწყობით, დაგეგმილია შენობის სახურავის შეცვლა, გარე ფასადის შეღებვა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. ასე რომ, ბაღი კიდევ უფრო დამშვენდება, ცეროდენებისთვის უფრო მიმზიდველი გახდება.

აღსანიშნავია, რომ 163-ე ბაღში დიდი ყურადღება ექცევა არამარტო აღზრდას, არამედ ჰიგიენას და სისუფთავეს, ამიტომაც არის, რომ მშობლები კმაყოფილებას გამოთქვამენ და ბავშვთა რაოდენობაც ყოველწლიურად მატულობს.

ხალისიანი, იმედიანი გაზაფხულის მობრძანებას გილოცავთ, 163-ე ბაგა-ბაღელებო!

**მზია გურული**





## ქართველი სპორტსმენი ამერიკაში

# არჩილ შაშურაშვილი კიდევ ბევრჯერ გვასახელებს




**ძალისმიერი** სამჭიდი ათლეტიზმის ძალოსნური სახეობაა, რომელიც ძალოსნობის ზოგიერთი ვარჯიშის განვითარების შედეგად წარმოიშვა. სპორტის ამ სახეობაში შეჯიბრებები ტარდება როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებში და საქართველოშიც ნელნელა იკიდებს ფეხს. ათლეტი ფიზიკურად ძლიერი უნდა იყოს, რადგან მძიმე შტანგით სხვადასხვა მოძრაობის შესრულება საკმაოდ რთულია.

სპორტსმენი **არჩილ შაშურაშვილი** 6 წლის ასაკიდან ვარჯიშობს, ჭიდაობით დაიწყო, მაგრამ მცირე ტრავმების გამო, სამწუხაროდ, თავის დანებებამ მოუწია, თუმცა ვარჯიშს აგრძელებდა და 2006 წლიდან, აქტიურად ჩაერთო ძალისმიერ სამჭიდში. ერთ თვეში საქართველოს თასის გათამაშებაში ჩემპიონი გახდა, საქართველოს ჩემპიონატზე კი უკვე – რეკორდსმენი. ამჟამად, საქართველოს აბსოლუტური რეკორდსმენი და სპორტის საერთაშორისო ოსტატია. 2010 წელს იგი საქართველოს უძლიერეს მამაკაცად დაასახელეს. ბათუმში ჩატარებულ საერთაშორისო ჩემპიონატზე ერთადერთი ქართველი იყო, ვინც შეჯიბრება მოიგო. მაგრამ სპორტსმენი ტრავმისგან დაზღვეული არასდროს არის და სამწუხაროდ, 2010 წლის მსოფლიო თასის გათამაშებას გამოეთიშა, ბედმა 2011 წელსაც ლატვიაში მსოფლიო ჩემპიონატზე უმტყუნა... ამავე წელს სატელევიზიო პროექტ **„ნიჭიერში“** გამოვიდა, სადაც საკუთარი ძალის დემონსტრირება მანქანის დატრიალებით მოახერხა. მოგვიანებით, რაღაც დროით სპორტისთვის თავის დანებებამ მოუწია, რადგან გარკვეულ ვითარებაში თვალზე მძიმე ტრავმა მიიღო.



2014 წელს არჩილმა გადაწყვიტა სპორტს დაბრუნებოდა. ყოველ წელს სანკტ-პეტერბურგში ტარდება შეჯიბრი, სადაც მსოფლიოს 10 საუკეთესო სპორტსმენის გამოვლენა ხდება მძიმე წონით კატეგორიაში. უდიდესი ძალისხმევის შედეგად, მსოფლიოს ათ საუკეთესოთა შორის მოხვდა და რეიტინგით მეოთხე იყო. 2015 წელს სანკტ-პეტერბურგში ტოპათეულში მიიღო მონაწილეობა, თუმცა, სამწუხაროდ, მსაჯების მიკერძოების გამო, 410 კილოგრამიან ჩაჯდომში პირველი მოძრაობა სიღრმის გამო არ ჩაუთვალეს. არადა, როგორც აღნიშნავს, იმ დროს, ერთ-ერთი ფავორიტი იყო, რაზეც რუსეთის სპორტული პრესაც აქტიურად საუბრობდა. სხვათა შორის, მსოფლიო რეკორდსმენი რუსია, პროფესიონალი და ძლიერი მეტოქე – **ანდრეი მალანიჩევი**, ყველაზე დიდი წონა მას აქვს აწეული.




მცირეხნიანი შესვენების შემდეგ, **შაშურაშვილი** ევროპის ჩემპიონატზე გამოვიდა, სადაც ვერცხლის მედალი აიღო, მსოფლიო კლასიკურ ჩემპიონატზე კი მესამე ადგილზე გავიდა. შარშან, ნოემბერში, მსოფლიო თამაშების საკვალიფიკაციო შეჯიბრებაზე, რომელიც 4 წელიწადში ერთხელ ტარდება, მისი გამგზავრება ვერ მოხერხდა, მიზეზი კი ისევ და ისევ უსახსრობა, დაფინანსების არქონა იყო.

ცოტა ხნის წინათ, კარიერის გასაგრძელებლად **აშშ-ში** წასვლა გადაწყვიტა. ამჟამად, **პენსილვანიის შტატის** ჩემპიონატისთვის ემზადება, რომელიც 8-9 აპრილს **ფილადელფიაში** ჩატარდება. ივლისში, აშშ-ში თავისუფალი თამაშები გაიმართება, რომელიც ღია ჩემპიონატია და სპორტსმენები შესაძლოა, სხვა შტატებიდანაც იყვნენ, მაგრამ ძირითადად, პენსილვანიიდან. არჩილი, რა თქმა უნდა, საქართველოს სახელით იასპარეზებს.

აშშ-ს **„ფაუერ ლიფტინგის“** (ანუ ძალისმიერ სამჭიდს) ერთ-ერთი უძლიერესი ფედერაცია აქვს, მსოფლიო ფედერაციის შვილობილი და მასში მოხვედრა ძალიან რთულია, უდიდესი შრომის შედეგად კი არჩილმა შეძლო მონაწილეობის უფლების მოპოვება, რაც ადვილი ნამდვილად არ გახლავთ. ეს დიდი პატივია, რადგან ამ ფედერაციაში ქართველი ჯერჯერობით არ ყოფილა გაწევრიანებული. იმდენად ძლიერი ფედერაციაა, რომ რეგისტრაციისას მილიონზე მეტი სპორტსმენი დარეგისტრირდა და ხომ წარმოგიდგენიათ, რამხელა კონკურენცია იქნებოდა ამ რაოდენობის სპორტსმენებიდან, რომ საუკეთესოები ამოერჩიათ და **„ლიბერთი გეიმსში“**, ანუ თავისუფალ თამაშებში მონაწილეობის უფლება მიეცათ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძალისმიერ სამჭიდში სპორტსმენს საკმაოდ მძიმე შტანგის აწევა უწევს. წონით კატეგორიაში (105კგ), რომელშიც **არჩილ შაშურაშვილი** გამოდის, ვარჯიშზე სამჯერ აქვს დაძლეული 420 კილოგრამიანი შტანგა. 2015 წელს ორჯერ აქვს აწეული 500კგ (ჩაჯდომი).



„ამ დროს სიმძიმეზე არ ვფიქრობთ, მხოლოდ გონება უნდა მიმართო, რამდენად შეგიძლია კონცენტრაცია. მთავარია, მონდომება, ფსიქოლოგია, მიზანდასახულობა, უნდა დაიჯერო, რომ შენ ეს შეგიძლია. ეს ყველაფერი ნერვული სისტემიდან იმართება. ყველანაირად ვცდილობ, რომ ჩემს მეგობრებს, მოსწავლეებს მაგალითი მივცე ჩემი ქცევით“, – ამბობს ათლეტი.




მსოფლიოს მასშტაბით, ქალებში ძალისმიერი სამჭიდის შეჯიბრებები ისევე ტარდება, როგორც მამაკაცებში, ასაკობრივი და წონითი კატეგორიების მიხედვით. საქართველოში არჩილს წარმატებული მოსწავლეები ჰყავს და მათ შორის ერთ-ერთი გოგონაა – **თინათინ კეშელავა**, 59 კგ წონით კატეგორიაში, რომელსაც 160 კილოგრამი აქვს დაძლეული ჩაჯდომში.




არჩილის ამჟამინდელი მწვრთნელი საქართველოს ათლეტიზმის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი, ახლა – ვიცე პრეზიდენტი, ბატონი **ნიკოლოზ (ნუკრი) სარალიძეა**, რომლის რჩევებსაც ითვალისწინებს და მადლობელია, რომ მისი აშშ-ში ყოფნაც სწორედ ბატონი ნუკრის დამსახურებაა.

არჩილი პროფესიით იურისტია, წარმატებით დაამთავრა ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი. საქართველოს იმიტირებულ სასამართლო პროცესებში მონაწილეობდა, სტუდენტობის პერიოდში კი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფისში ტრენინგებს ატარებდა. ამჟამად, როგორც გითხარით, ძირითადად, სპორტზეა გადართული. თუმცა, როგორც თავად ამბობს, მის ცხოვრებაში ორივეს თავისი ადგილი აქვს, ,,იურისტობა უფრო პატარა ასაკში ავირჩიე, პირველი კლასიდანვე მინდოდა, ძალისმიერ სამჭიდში ასპარეზობა კი ჩემი ზრდასრული ასაკის არჩევანია. ერთმანეთისგან ვერ გავმიჯნავ, ყველაფერს თავისი ადგილი აქვს. აშშ-ში იურისტობა, რა თქმა უნდა, სარფიანი პროფესიაა, მაგრამ საქართველოში მიღებული განათლებით აქ რაიმეს მიღწევა და სამსახურის შოვნა, ცხადია, რთულია, ჩემთვის სპორტი იმდენად ძვირფასია, რომ მასზე უარის თქმა არ შემიძლია“.

მთავარი მიზანი, მონდომებაა და შედეგიც არ დააყოვნებს.

ვუსურვებთ არჩილს, კიდევ ბევრჯერ ესახელებინოს საქართველო!

**ნათია გურგენიძე**

მთ. რედაქტორი ბორის მიშველაძე

სახალხო განათლება+ № 6 (4545)
22 მარტი, 2017 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

რედკოლეგია

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 34-37-27; ნათელა ქიმერიძე 595 58-45-72; ბორის მიშველაძე 555 59-60-50; რომან მოსეშვილი 599 34 41 41; ნათია გურგენიძე 593 42-22-58; ეკა მამუკაშვილი 557 20-85-04

ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (0 32) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

ISSN 1987-9113